დინამოელები იბრძვიან მეორე ადგილისათვის

26–ე ტურის შემდეგ თბილისის “დინამოს” შეექმნა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილის დაკავების რეალური შესაძლებლობა. საჭირო იყო მხოლოდ დარჩენილი ორი თამაშის მოგება. კიევის “დინამო”, რომელსაც ოთხი შეხვედრა კიდევ ჰქონდა ამ დღისათვის, გამარჯვების შემთხვევაში საგრძნობლად უახლოვდებოდა ლიდერთა ჯგუფს. ამ გარემოებამ საგრძნობი დაღი დაასვა მათს შეხვედრას, რომელიც 12 სექტემბერს გაიმართა თბილისის “დინამოს” სტადიონზე. 90 წუთის განმავლობაში მოედანზე მიმდინარეობდა დაძაბული ბრძოლა.

ამჯერად თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ სრული საბრძოლო შემადგენლობით (მხოლოდ ჭკუასელი ცვლიდა მარცხენა ფრთაზე თოდრიას). თამაშის დასაწყისი მასპინძელთა ხშირი იერიშებით აღინიშნა. ვარდიმიადი, ჭკუასელი და ჯოჯუა სწრაფად გადიოდნენ მოწინააღმდეგის კართან და ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს.

კიეველებმა თანდათან გაათანაბრეს თამაში და მალე ინიციატივაც მოიპოვეს. ისინი მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეს.

მიუხედავად ორივე გუნდის მრავალი ცდისა თამაშის პირველი ნახევარი უშედეგოდ – 0:0 დამთავრდა.

დაიწყო მეორე ტაიმი. მთელი მატჩის ანგარიში – 2:1 “გაკეთდა” 12 წუთში და ორივე კარში გატანილი 3 ბურთი დაცვისა და მეკარეების მიუტევებელი შეცდომების შედეგი აღმოჩნდა.

47–ე წუთზე იუსტმა (#5) “თავაზიანად” მიაწოდა თავით ბურთი ვარდიმიადის, რომელმაც ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

კიეველებმა წამსვე შეუტიეს მასპინძლებს და საჯარიმო მოედანში შეიჭრნენ. კარში დარტყმულ დაბალ ბურთს მიუსწრო მარღანიამ, მაგრამ მოულოდნელად ხელიდან გაუშვა. კომანმა (#8) კარში ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მესამე შეცდომა, რომელმაც თამაშის ბედი გადაწყვიტა, დაუშვა ლერმანმა (#3). მან შორი მანძილიდან ნელა გადააწოდა მეკარეს ბურთი. ღოღობერიძემ მიასწრო მეკარეს, მოატყუა იგი და ბურთი ბადეში გაგზავნა.

იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება, კიეველებმა საფუძვლიანი გარდატეხა შეიტანეს თამაშში. ბოლო 10–12 წუთის განმავლობაში მათი თავდამსხმელები მონდომებით, ენერგიულად იბრძოდნენ მოპირდაპირის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ თბილისელებმა შესძლეს ანგარიშის შენარჩუნება. ეს დაძაბული, საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით – 2:1.

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს კიეველებმა – 2:1.

“ლელო”, 14 სექტემბერი 1951 წ.